

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თენგიზ მთვარელიშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება:	საფინანსო საბიუჯეტო კომისია, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია
არჩევის წესი	საკრებულოს მაჟორიტარი წევრი აღმოსავლეთ თელავში (საარჩევნო ოლქი N17/02)
(მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	
საანგარიშო პერიოდი	2021 წლის 3 დეკემბრიდან დან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 14

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 22 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების  
კომისიის სხდომებზე დასწრება 8 მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების-

1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - დავესწარი 5 სხდომიდან ხუთივეს.

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ჩემი უშუალო მხარდაჭერით და მონაწილეობით საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ნორმატიული აქტი აღსრულების მიზნით გაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს.

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: გარდა იმისა რომ მხარი დავუჭირე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფების შემოღებისა და მგზავრთა გადაყვანის რეგულირების წესის მიღებას თელავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ვახორციელებდი მოდერაციას, სატარიფო პოლიტიკის შესახებ იმ ფოკუსჯგუფებისთვის რომლების დაინტერესებულნი იყვნენ აღნიშნული საკითხით.

მხარი დავუჭირე ასევე, ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფას, მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - საკრებულოს წევრებთან ერთად მიზანშეწონილას არ მივიჩნეე მხარი დამეჭირა ქ. თელავის ცენტრალურ ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის მიზნით საბიუჯეტო ცვლილების განხორციელებისთვის. აღნიშნული პროექტი შემდგომი შესწავლის მიზნით დაუბრუნდა მერს.

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

მოქალაქეებთან შეხვედრას აქვს რეგულარული ხასიათი, საანგარიშო პერიოდში გაიმართა 9 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან; დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 30-35 მოქალაქე;

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ჩემს სამაჟორიტარო უბანში მოსახლეობასთან შეხვედრებისას, მოვისმინე იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც არსებობს აღმოსავლეთ თელავში კერძოდ:

1. რუსთაველის ქუჩა 73 -ში საკანალიზაციო ჭის მოწყობის მოთხოვნა ;

2. თამარის ქუჩაზე არსებული შინმოუსვლელთა მემორიალის შემოღობვა და მოწესრიგება.

3. 300 არაგველის, ლესელიძის, ქლუხორის ქუჩებზე შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწყობა და გარე განათების უზრუნველყოფა.

ვმონაწილეობდი ქონებისა და ეკონომიკის კომისის გასვლით სხდომაზე, სხდომაში ქ. თელავში, ნიკო მუსხელიშვილი ქუჩაზე, სადაც მოსახლეობა კოლექტიური განცხადების საფუძველზე ითხოვდა რეკრიაციული სივრცის მოწყობას.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე აღმასრულებელი ორგანოს მიმართ წარდგენილი მაქვს სარეკომენდაციო სახის წინადადებები :

1. შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უპირობო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ
2. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ
3. რეკომენდაცია ქ. თელავის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული „საქ. პრესის“ ამორტიზებული ჯიხურების დემონტაჟის შესახებ.
4. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავების შესახებ

5. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საპრივატიზაციო ნუსხაში რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ
6. რეკომენდაცია მოქალაქეთა კოლექტიურ განცხადებაზე ქ. თელავში ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარე მწვანე ზონაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობაზე. შემუშავდა ფორმა თელავის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა შეხვედრებისას გამოთქმული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც მოსახლეობასთან შეხვედრების შემდგომ დამუშავდა და წარედგინა მერს 2022-2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით.

## 2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- ჩემი როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია 12 რეკომენდაცია აღმასრულებელი ორგანოს მიმართ და აქედან, 3 ქვეპროგრამის ფორმით, 2023 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. მერისგან მოვითხოვე ინფორმაცია 2022 წლის მიმდინარე სოციალური პროგრამების გენდერული ანალიზის შესახებ;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს პარლამენტში დაყენებულია 1 საკანონმდებლო წინადადება, საქართველოს შრომის კოდექსში, ცვლილების შტანის თაობაზე, კერძოდ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის დასვენების დღედ გამოცხადების შესახებ.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მომზადებული მაქვს რეკომენდაციები უპოვართა სასაბუღალტრო ბენეფიციართა მომსახურების გაუმჯობესების თემაზე;
- ვაწარმოებ აქტიურ მოლაპარაკებებს გაეროს განვითარების ფონდთან საკრებულოს სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სხდომების ტრასლირებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების მისაღებად.
- აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ შორის NDI-სთან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ფორმების დამკვიდრებაზე

## 3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

- მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება მუნიციპალიტეტისთვის ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება, როგორცაა ქ. თელავის განვითარების გენერალური გეგმა.
- თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრულყოფის და კანონმდებლობასთან სრული ჰარმონიზაციის მიზნით დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება, ამ პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობ გაეროს განვითარების ფონდის ექსპერტებთან სამართლებრივად გამართული და მოქნილი ნორმატიული აქტის მისაღებად.

შევსების თარიღი: 29.10.2022წ

წარდგენის თარიღი: 01.11.2022წ

ხელმოწერა

